

საქართველო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Organ Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

23

საქართველო
1961 წ.

№ 105 (1741)

გამოცემის მი-17 წელი,

ფასი 3 კაპ.

დამთავრდა „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფენბურთელთა კოლეჯებთან არსებული მოზარდთა გუნდების გათამაშება 24 ზონაში, რის შემდეგ ჩვენი ქვეყნის 6 ქალაქში დაიწყო ნახევარფინალური ტურნირები. ნახევარფინალებში თამაშობენ:

პავლოდარი — სკა (ხაბაროვსკი), „სპარტაკი“ (ბაქო), „სტარტი“ (ტაშკენტი), სკა (ნოვოსიბირსკი).

დერბენდი — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ტექსტილშიკი“ (კიროვობადი), „შახტიორი“ (სტალინი), „ტორპედო“ (ქუთაისი).

ჩეხოკსარი — ცსკა, „ადმირალტეცი“ (ლენინგრადი), „ნეფტიანიკი“ (ბაქო), „ისკრა“ (კაზანი).

კრასნოდონა — „დინამო“ (კიევი), ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი), „მეტალურგი“ (დნეპროპეტროვსკი), „ტრაქტორი“ (სტალინგრადი).

უმერინკა — სკვ (სევასტოპოლი), „ზევდა“ (კიროვოგრადი), სკა (ლუვი), სკა (ოდესა).

ორშა — „ბანგა“ (კაუნასი), „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (მოსკოვი), „მოლოდოვა“ (კიშინიოვი).



სოხუმში დამთავრდა სტუდენტთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება წყალბურთში, პირველობის გათამაშებაში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისის „ბურევესტიკმა“, რომელმაც მხოლოდ ერთი ქულა დაჰკარგა. მან დაამარცხა მოსკოვის, კიევისა და

სხვა ქალაქების გუნდები და მოიპოვა უძლიერესი სახელი.

სურათში: თბილისის „ბურევესტიკის“ წყალბურთელთა გუნდი.

საბჭოთა გუნდი — გმობლიო ჩეხიონი

მოფარიავეთა მსოფლიო პირველობაზე ტურინში უკვე დამთავრდა შეხვედრები რაპირაში. ეკთა შორის ჩემპიონი გახდა პოლონელი კ. პარულსკი, მეორე ადგილზე ე. კომუტი (უნგრეთი), მესამეზე — საბჭოთა სპორტსმენი მ. მიდლერი. სამაგიეროდ, ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა თავი ისახელეს გუნდურ შეჯიბრებაში. მათ ნახევარფინალში დაამარცხეს ფრანს გუნდი — 9:7 და ფინალში შეხვედნენ უნგრელებს, რომლებმაც ასეთივე ანგარიშით მოუგეს პოლონელებს, ფინალში გამარჯვებას (9:6) მიაღწია საბჭოთა ნაკრებმა და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა.

ქალთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო რომის ოლიმპიადის ჩემპიონი პ. შმიდი (გერმ.), საბჭოთა სპორტსმენები ა. ზაბელინა და ვ. რასტვიროვა გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე.

ლენინგრადსა და ტულაში

ლენინგრადის რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე თბილისელმა ნ. თოფაძემ ავიამოდელისტთა შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით კარგი იყო მისი ფუფუნაჟიანი პლანერის მოდელი.

სურათში: ნ. თოფაძე თავის მოდელს აჩვენებს გასაფრენად. ფოტო ი. გაბრიელიანისა.

ლენინგრადსა და ტულაში განახლდა ფენბურთელთა საკავშირო პირველობის („ა“ კლასი) ფინალური შეხვედრები. ლენინგრადში თამაშობენ ქალთა გუნდები. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ წააგო ოდესის „ბურევესტიკიდან“ — 1:3. ლენინგრადის „სპარტაკმა“ მოუგო „დაუგავს“ — 3:0, მოსკოვის „სპარტაკმა“ ძნელ ბრძოლაში სძლია „ნეფტიანიკს“ (ბაქო) — 3:2. ხუთ პარტიამდე გაგრძელდა მოსკოვის „დინამოსა“ და ლენინგრადის ფეხბურთელთა ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს სტუდენტებმა — 3:2. ტულაში პირველად მოედანზე

გამოვიდნენ შეჯიბრების ლიდერი — ცსკა და თბილისის „ბურევესტიკის“ (ეკთა) გუნდები. სტუდენტებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს არმიელებს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 1:3 (15:10, 14:16, 15:10, 15:13). კიევის „ლოკომოტივმა“ მოუგო ლენინგრადის სკა-ს — 3:1, ოდესის „ბურევესტიკმა“ — მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 3:0, რიგის სკიფ-მა — მოსკოვის „ბურევესტიკის“ — 3:2.

ეკთა გუნდების შეჯიბრების მეორე დღეს თბილისის „ბურევესტიკი“ შეხვედა ლენინგრადის არმიელთა კოლექტივს და დაამარცხა იგი — 3:1.

ისევ გამარჯვება

სტუდენტ მოქალაქეთა მსოფლიო გუნდური პირველობის V ტურში საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ თამაშობდა გერმანული. ამ დღეს სამი პარტია დამთავრდა და სამივე საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს, ერთი პარტია გადაიღო, ჩეხოსლოვაკიამ დაამარცხა ფინეთის გუნდი — 3:0 (ერთი პარტია გადაიღო), აშშ-ს გუნდის წინააღმდეგ თამაშობდნენ ინგლისელი მოქალაქეები. დამთავრდა მხოლოდ 2 პარტია, სადაც ამერიკელებმა 1,5 ქულა აიღეს, ხუთი ტურის შემდეგ წინ არიან საბჭოთა მოქალაქეები, რომლებმაც 17 ქულა და ერთი გადაღებული პარტია აქვთ.

ხელბურთელთა ჩემპიონატი

ზაგოროვია. (ჩვენი სპეციალისტი). აქ დაიწყო საკავშირო პირველობა ხელბურთში (7X7) ქალთა და გოგონათა შორის. წინასწარ თამაშებში თბილისელმა ხელბურთელებმა დაძაბულ ბრძოლაში დამარცხებია განიცადეს კიევური ხელბურთელებთან — 8:11, შემდეგ შეხვედრები აღმავლობით ხარტარეს და დიდი ანგარიშით მოუგეს ესტონეთისა და ბელორუსიის გუნდებს — 27:14, 30:16. ამ თამაშების მოგებით თბილისელებმა გვიდნენ ფინალში. ფინალურ შეხვედრაში მოხვედნენ აგრეთვე ლატვიის, ლიტვის, სომხეთის, ლენინგრადისა და კიევის გუნდები.

ფინალში თბილისელები შეხვედნენ ლენინგრადელ ხელბურთელებს. თამაში მეტად დაძაბული და საინტერესო იყო. ქართველ ხელბურთელთა შორის გამოირჩა

ჩელოა ფეხბურთი, რომელმაც მოწინააღმდეგის კარში 8 ბურთი გაიტანა. თამაშის საბოლოო შედეგია 16:13 თბილისელ ქაბუეთა სასარგებლოდ. კიეველებმა მოუგეს ვილნიუსის გუნდს — 23:6, ხოლო რიგელებმა დაამარცხეს ერევნელები — 18:12. შეჯიბრების მეორე დღის შედეგებია: კიევი-ლენინგრადი — 22:10, რიგა-ვილნიუსი — 23:7, თბილისელებმა ფინალში პირველად

ლი დამარცხებია ვანიცა დღეს ქრევენ ე ლ ე ბ თ ა ნ

(21:25). საქართველოს გოგონათა გუნდი წარუმატებლად გამოდის, წინასწარ ფინალში შეხვედრებში მას მხოლოდ ერთი მოგება აქვს (მოლდავეთთან — 9:0), ერთი ფრე (ლიტვისთან — 5:5) და ერთი წაგება (უკრაინასთან — 7:12). გოგონათა გუნდი ვერ მოხვდა ფინალში და იბრძვის VII-XII ადგილებისათვის.

გ. შარბიძე.

ფენბურთის საკავშირო შედეგისათვის

ფენბურთის საკავშირო ფენბურთის პრეზიდიუმმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა ფენბურთელებს, რომლებმაც შეასრულეს საკავშირო ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის ნორმები. მათ შორის არიან — ნ. მუსხელიშვილი, ი. ბოიკო, ს. ბუინოვი, ვ. გვარდილი, თ. კუჭავა და ლ. ფიგულინი („ბურევესტიკი“, თბილისი).

ციის ნორმები. მათ შორის არიან — ნ. მუსხელიშვილი, ი. ბოიკო, ს. ბუინოვი, ვ. გვარდილი, თ. კუჭავა და ლ. ფიგულინი („ბურევესტიკი“, თბილისი).

ვ. კრეკინამ აშშ-სსრ კავშირის მძლეოსანთა მატჩის დროს სათანადო წვლილი შეიტანა ქალთა ესტაფეტაში 4X100 მეტრზე ევროპის რეკორდის დამყარებაში.

სურათში: ვ. კრეკინა დისტანციანზე.



მსოფლიოს გარშემო ავტობუსით

ჯონსონი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანია. მან ბევრი საზინელება გაიტანა წარსულ ომში და აი, 1959 წელს სტუმრებში ამერიკაში წავიდა ნ. ს. ხრუშჩოვი. ჯონსონმა ნ. ს. ხრუშჩოვი პატარა სადგურზე სანტა-ბარბარაზე ნ. ს. ხრუშჩოვის

მისთვის თბილად მიუმატათა: — მე თქვენ მომწონხართ... — მეც ასევე, — უბრალოდ ჯონსონს. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ვ. ჯონსონმა თავის შე-

უღლესთან და მ შვილთან ერთად შემოუაროს დედამიწას მშვიდობის მისიით. — ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრის შემდეგ შეეკრიბე მთელი ჩემი ფული, ვიყიდე ძველი ავ-

ტობუსი, შევაკეთე და გამოვესწიე სამოგზაუროდ მშვიდობისა და კეთილი ნების მისიით, უკვე წავილა და ოთხი თვეა რაც გზაში ვართ, აღმოჩნდნენ შეხვედრისას მე ბევრს არ ვლაპარაკობ,

მშობლიურ კალიფორნიაში დაბრუნებისას ვამაცი მოგზაური თანამშემულებს უამბობს როგორი მშვიდობიანი ცხოვრებაა დღეს საბჭოეთის ვრცელ ქვეყანაში, როგორ იბრძვიან მშვიდობისათვის მთელი მსოფლიოს ხალხები.



ბაპო. (ჩვენი სპეც. კორ.). მოსწავლეთა საკავშირო სპორტაკიადა ბაპოში წელს პირველად ტარდება. ამ სპორტაკიადისათვის მზადდება აქ კარგა ხანია დაიწყეს. სპორტაკიადის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის

დიდი სამზადისი

თავმჯდომარე აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ქერიშვილი საორგანიზაციო კომიტეტმა თავიდანვე გამამხვილა ყურადღება ამ დიდი ასპარეზობის სანიმუშოდ მომზადების საკითხებზე. ახლა უკვე გარკვეულია თუ ნორჩი სპორტსმენები რომელ სპორტულ ბაზებზე შეევიბრებიან ერთმანეთს. ძირითადი საასპარეზო ადგილი იქნება სტალინის სახელობის სტადიონი და

საზოგადოება „ნეფტიანის“ სპორტული მოედნები. რესპუბლიკათა სპორტულ დელეგაციებს შეფობას გაუწევინა ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციები, მოსწავლე-ახალგაზრდობა. მათ საშუალება ექნებათ დაათვალიერონ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, მოეწყობა მეგობრული შეხვედრები და სხვ. სტუმრად ჩამოსული მოსწავლე-სპორტსმენების საცხოვრებელ

ადგილებს ბაქოელი ახალგაზრდები მოაწყობენ საუკეთესოდ. სპორტაკიადის მსვლელობის კავალ და ღრულად გასტუმრების მინით ეწყობა პრეს-ცენტრი. სპორტული მამოძილებელი გუნდები ემსახურებიან ჩვენთან ყოველგვარი სპორტული ნიჭიერების მქონე ახალგაზრდობის შესახებ. გარდა ამისა, აზერბაიჯანის სპორტული გაზეთის „ფიზკულტურნიკ“ აზერბაიჯანურ რედაქცია გამოუშვებს სპეციალურ ბიულეტენებს.

ბაქოში გატარდება მთავარი მთავარი საკავშირო სპორტაკიადა


დაცავული ფვრთნის კერიოლი

მოსწავლეთა VII საკავშირო სპორტაკიადის დაწყებამდე თვეზე ნაკლები დარჩა. 14 აგვისტოს ქალაქ ბაქოში სპორტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებებიდან ბრძოლაში პირველნი ჩაებმებიან ნორჩი ზოგბურთელნი. სპორტაკიადის საზეიმო გახსნის დღედ დანიშნულია 22 აგვისტო, 26 აგვისტოს კი სპორტაკიადის აღმას ახალი ჩემპიონები დაუშვებენ.

საქართველოს ნორჩი სპორტსმენები რესპუბლიკური სპორტაკიადის დამთავრებისთანავე შეუდგნენ დიდი ასპარეზობისათვის მზადებას. კარგა ხანია დაკომპლექტდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოსწავლეთა ნაკრები გუნდები.

სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა დაყოფილია 3 ეტაპად. I ეტაპზე მოსწავლეთა წვრთნა მიმდინარეობდა ძირითადად თბილისში, მცხეთასა და რუსთაველაში, აქ გავრთიანებული იყო 450-მდე მოსწავლე სპორტსმენი. II ეტაპზე ნაკრები გუნდები დაიცხრილა და ახლა 360 მოსწავლე გადის წვრთნას. ამჯერად ისინი საწვრთნელ მეცადინეობაზე არიან თბილისში, ბორჯომში, ბათუმში, სოხუმში, ლესელიძეში, მძლეოსანთა ერთი ნაწილი მეცადინეობს ნალჩიქში, მეორე ნაწილი თბილისში. III ეტაპზე საბოლოოდ დადგინდება რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შემადგენლობა (დელეგაციაში სულ 217 სპორტსმენია).

დიდი ასპარეზობის დაწყებამდე ათი დღით ადრე ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრები ბაქოში მოიყრიან თავს.



კიდევ ორი წელი და მოსკოვში აღიმართება სსრ კავშირის ხალხთა III სპორტაკიადის აღამი. პროგრამის სახეობათა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება მძლეოსნობა, სადაც წინა სპორტაკიადებისაგან განსხვავებით აუცილებელია მოზარდ მძლეოსანთა გამოყვანა.

რა პერსპექტივებია ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? უდავოა, რომ წელს საქართველოს მოზარდ მძლეოსნებს უკეთესი მაჩვენებლები აქვთ და უნდა ვივარაუდოთ, რომ სპორტაკიადისათვის საკმაოდ ძლიერი კოლექტივის შექმნა შეგვიძლია. მართალია, საქართველოს ადრეც ჰყავდა მძლეოსნები, რომლებიც გამარჯვებულნი გამოდიოდნენ საკავშირო შეჯიბრებებში, მაგრამ ისინი ერთეულები იყვნენ და გუნდურ ჩათვლაში თითოერთი გამარჯვება ბევრს არაფერს იძლეოდა.

მიმდინარე სეზონში თბილისელმა მოსწავლეებმა ა. დავითიამ, ვ. ქურდაიამ, რ. ჩუბინიძემ, ა. ანტონოვმა 100 მ რბენაში აჩვენეს 11 წამი და მკიდროდ მიუახლოვდნენ პირველი თანრიგის შედეგს. ასეთი ძლიერი ოთხეული ადრე არასოდეს ჰყოლია რესპუბლიკას, რაც იმედს იძლევა, რომ ისინი შეასრულებენ ოსტატობასაც ხოლო ესტაფეტაში 4x100-ზე შეუძლიათ გახდნენ სპორტაკიადის პრიზიორები.

უკეთესი შედეგი აქვთ საქართველოს ქაბუტეებს სიგარძესა და სიმალღზე ხტომებშიც. რ. ჩუბინიძემ სიგარძეზე ხტომაში უკვე შეასრულა პირველი თანრიგი, ხოლო ა. ანტონოვს 16 სანტიმეტრი დაეკლდა. შ. ართვლაძეს სიმაღლეზე ხტომაში პირველი თანრიგამდე აკლია 4 სმ. თ. მურადაშვილმა და ი. არშამმა დამლეეს 180 სმ სიმაღლე.

სათანადო შევსება მიიღეს მტყორცნელებიც. სტალინგრადში ლ. ანანიევმა ამას წინათ ბაქო ტურცნა 47 მეტრზე; თბილისელმა მ. ოყროშიძემ კი ბირთვის კვრაში ახალი რეკორდი დაამყარა. ექვს გარეშეა, ისინი წარმატებას მიღწევნ მოსწავლეთა საკავშირო სპორტაკიადაზე და შეძლებენ ჩაღვნიან რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა რიგებში. კარგი მონაცემები აქვთ მე-2 სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს 16 წლის ო. ოდიშვილსა და ა. ბაგაურს ბაქოს ტურცნაში. მათი მაჩვენებლები უკვე გადასცილდა 45 მეტრს.

ბევრი პერსპექტული, კარგი მომავლის მქონე სპორტსმენია გოგონათა შორის, რომლებსაც უკვე წელს შეუძლიათ ჩათვლა მისცენ რესპუბლიკას 400-მეტრიან დისტანციაზე, მათ შორის აღნიშვნა

ჩაზარკვი მეზ ზრუნვას სპორტოებს

მძლეოსნობა ძირითადი სახეობაა, მისი განვითარება დაწინაურება სპორტის საერთო აღმავლობას დიდად დაახმარება.

ნის ღირსნი არიან ქუთაისელები ქ. ბლუაშვილი და ნ. შიშკოვა, თბილისელები ლ. ზურსკაია და ნ. უშკოვა, სოხუმელი ნ. ნესტორევი.

წელს მეორე ჯგუფის რაიონების 18 მძლეოსანმა მოიპოვა მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებში მონაწილეობის უფლება, 2 წლის წინ კი მათი რიცხვი არ გაცილებია 1-2 სპორტსმენს. რა მოხდება ამ შეუწყო ხელი მეორე ჯგუფის რაიონებში მძლეოსანთა ზრდას? აუცილებლად თბილისის მე-2 სკოლა-ინტერნატის საქმიანობამ, სოფლის სკოლების მძლეოსანთა შეჯიბრებამ, რომელიც წელს მეორედ ჩატარდა, რაიონებში მძლეოსნობის სპეციალისტთა მივლინებამ და ადგილებზე გაწეულმა მუშაობამ, განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის ფილიალების მძლეოსნობის ჯგუფის ნაყოფიერმა მუშაობამ და ზამთრის არდადეგებზე ამ ჯგუფებს შორის გამართულმა შეჯიბრებებმა.

თითქოს ბევრი გაცეთა მოსწავლეთა შორის მძლეოსნობის დანერგვა-განვითარებისათვის, მაგრამ არასწორი იქნებოდა ამ ერთგვარ წარმატებებს იქით არ შეგვემჩინა ჯერ კიდევ არსებითი ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლიან მოსწავლეთაგან უფრო დიდი რაოდენობით პერსპექტულ სპორტსმენთა გამოვლინებას.

მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინასა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში გუნდები შევსებას ძირითადად სპორტსაზოგადოებებთან მომუშავე ბავშვთა მძლეოსნობის ჯგუფებიდან იღებენ, ჩვენთან, საქართველოში კი ეს პრინციპი უგულვებელყოფილია.

„ბურევესტნიკი“, „სპორტაკი“ და სხვანი არავითარ შევსებას არ აძლევენ მოზარდთა რესპუბლიკურ ნაკრებს, ხოლო თავიანთ გუნდებს თითქმის მთლიანად განათლების სამინისტროს სისტემაში მომზადებულ მძლეოსანთა ხარჯზე აკვებენ.

მოსკოვის მოზარდთა რეკორდების 85 პროცენტი სპორტსაზოგადოებათა სპორტულ სკოლებში აღსაზრდელებს ეკუთვნის, ჩვენი რეკორდების ცხრილში კი ლ. ანთაძისა („ლოკომოტივი“) და ი.


დიაჩკოვის („დინამო“) გარდა ყველა მაჩვენებლების ავტორები განათლების სამინისტროს სპორტსკოლებში არიან აღზრდილები. ყველა ეს ფაქტი მეტყველებს სპორტსაზოგადოებათა სუსტ მუშაობაზე მძლეოსნობაში.

წელს მოწყობილია მოსწავლე მძლეოსანთა ორმა შეჯიბრებამ — სპორტაკიადამ და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მიერ ჩატარებულმა ღონისძიებამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საქართველოში მძლეოსნობის განვითარების მდიდარი შესაძლებლობანია, მაგრამ ამ საქმეს არ ექცევა სათანადო ყურადღება. ამგვარი რაიონმა წელს პირველად შეძლო გუნდის გამოყვანა რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე და მეორე ადგილი დაიკავა მეორე ჯგუფში, მაშინ, როცა 15 რაიონმა ვერ შეძლო თუნდაც თითო მძლეოსნის გამოყვანა, რომელიც შეძლებდა ჩასათვლელი ნორმატივის შესრულებას. განსაკუთრებით ჩამორჩნენ თელავის, ორჯონიკიძის, ჩოხატაურის, ფოთის, ქიათურის, ტყიბულის სპორტსმენები, ხოლო ლაგოდეხის, ამბროლაურის, მაიაკოვსკისა და თეთრი წყაროს რაიონებს არც ერთი სპორტსმენი არ გამოუყვანიათ. სუსტად გამოვიდნენ სამხრეთ-ოსეთის მძლეოსნები.

გადასინჯავს მოითხოვს II ჯგუფის რაიონების გუნდების წევრთა რაოდენობის განსაზღვრა. ოთხი ერთეული საკმარისი არაა, ვინაიდან შეჯიბრებათა გარეშე ხშირად რჩება ბევრი პერსპექტული ახალგაზრდა, რაც თავის მხრივ მწვრთნელთა დინტერესებსაც აწვლავს. თუ აღნიშნულს იმასაც დაემატებო, რომ მწვრთნელთა ერთი ნაწილი გულგრილად ეკიდება საქმეს, ნათელი გახდება, რომ ბავშვთა შორის მუშაობაში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არაა. აი მავალითიც, ქუთაისელი მწვრთნელის გერსამიას აღსაზრდელებმა ნ. შიშკოვმა და მ. გაბრიჩიძემ შარშანდელთან შედარებით გააუარესეს შედეგები. შიშკოვა შარშან 400 მეტრს დაბობდა 59.6 წამში, წელს კი აჩვენა 1.00,6 წამი. გაბრიჩიძემ შარშან ბაქო ტურცნა 37 მეტრზე შორს, წელს — 35 მ 21 სმ-ზე და ა. შ.


სსრ კავშირის ხალხთა სპორტაკიადამდე საკმარისი დროა. რესპუბლიკის მწვრთნელებმა, სპორტულმა საზოგადოებებმა, სპორტკავშირების რაისაბჭოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვთა შორის მძლეოსნობის დანერგვა-განვითარებასა და უძლიერესთა გამოვლინებას, წინააღმდეგ შემთხვევაში საკავშირო სპორტაკიადაზე მოვიმკით მხოლოდ მას, რასაც დავტესტავთ.

ბ. ტახტაროვი,
საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ბავშვთა შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარე.



სპორტსმენი: მოზარდთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე გამარჯვებულები: მარცხნივ — ბადროს ტურცნაში პირველი იყო ო. ოდიშვილი (ს. ანანიერი), რომელმაც ბაქოში 44 მ 06 სმ გაჯავანა; მარჯვნივ (ზემოდან ქვემოთ) — 400 მ რბენაში უძლიერესი აღმოჩნდა ვ. გილია (აფხაზეთი) — 1.05,6; ფინალურ გარბენში 800 მ-ზე პირველი ადგილი აიღო ა. მოსულიშვილმა (№ 20) გურჯაანდან — 2.05,9 და ბადროს ტურცნაში გამარჯვებული (29 მ 63 სმ) უ. დოლიძე ქ. მახარაძიდან.

ფოტო პ. კვებაჩიანი.



საქართველო

საქართველო

საქართველო

„ისევ ფეხბურთზე“

ქართული სპორტული ინტერესები იმდენად არიან, რომ თვითუცხად ახალმა წიგნმა არ შეიძლება არ გამოიწვიოს გარკვეული ინტერესი და განსაკუთრებით მაშინ, როცა წიგნი ფეხბურთს ეხება.

სინგთან, „სტად დე რეიზთან“ და „ნიმთან“. შ. იამანიძე ახასიათებს ფრანგული სკოლის თავისებურებებს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ამ ნარკვევში შევლომითაა გადმოცემული ფრანგ ფეხბურთელთა გვარები: ეროვნული ნაკრების მცველის გვარია ვენდლინი და არა ვენდილი. (მან დინამოელთა წინააღმდეგ ითამაშა თბილისსა და რეიზში). ასევე უნდა იყოს დიუბელი და არა დიბელი, მიულერი და არა მილერი. წიგნის ავტორები რამდენიმე ადგილს ხმაობენ „პარ დე პრენსს“ ნაცვლად „პარ დე პრენსის“. მეორე ნარკვევში — „ფეხბურთის სამშობლოში“ შ. იამანიძე მოგვითხრობს დინამოელთა შარშანდელ თამაშებზე ინგლისში. აქაც ვერ ავცილეთ რამდენიმე უზუსტობას: „ველვერ-ჰემპტონ უონდერერსის“ მეკარის გვარი უნდა დაიწეროს ფინლისონი და არა ფინლისონი. მარკვენი მცველის გვარია სტიუარტი და არა სტიუარდი.


გ. ფანჯაიძის „ორი გაპარჯებულნი“ ეხება საბჭოთა კავშირის თასის შარშანდელი გათამაშების დრამატუზით აღსავსე ფინალს, ხოლო მისივე „სეზონი არასოდეს მთავრდება“ მკითხველს საინტერესოდ მოუთხრობს თბილისის დინამოელებსა და მათ გულშემატკივრებს. ჩვენის აზრით, ბევრი რამაა სადავო ნარკვევში „ფიქრები ფეხბურთზე“. 42-43 გვერდებზე ავტორი ისეთი ტონით ლაპარაკობს ინგლისური ფეხბურთის სკოლის უპირატესობაზე ფრანგულთან შედარებით, თითქოს ეს რაღაც ალიარებული ტეზისებრი იყოს. სინამდვილეში კი ეს მთლად ასე არაა. ეროვნული ფეხბურთის სახეს, როგორც ცნობილია, ნაკრები გუნდი წარმოადგენს. ინგლისის ნაკრებს არასოდეს ჰქონია რამე მნიშვნელოვანი წარმატება საფრანგეთის ნაკრებთან შედარებით, ხოლო რაც შეეხება მსოფლიოს VI ჩემპიონატს, აქ ფრანგებმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვეს, ინგლისელთა ნაკრები კი საკმაოდ სუსტი გამოდგა. ინგლი-

სის ჩემპიონები სისტემატურ მარცხს განიცდიან ვერობის შეფერვების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში („მანჩესტერ იუნაიტედი“, „ველვერ-ჰემპტონ უონდერერსი“, „ბერლი“, საფრანგეთის „რეიმსი“ კი ორჯერ გვევლინებოდნენ). 48-ე გვერდზე წერია, რომ „რამიონ კეზა 34 წლისაა, დიდი ნაწილი თამაშობს ვალენსის (გერმანია), ლაბრუნა (არგენტინა), დიდი დი სტეფანო“ აქ სამი შეცდომაა. კეზა მხოლოდ 30 წლისაა, ხოლო ფრიც ვალტერმა და ანხელ ლაბრუნამ კი უკვე სამი წელია თამაშობს თავი დაანებებს. გერმანელთა კარში ბურთს ვერ გაიტანდა ფარადა, (50 გვ.), ვინაიდან ასეთი მოთამაშე არგენტინელებს არა ჰყოლიათ, აქ უნდა იყოს ალბათ კორბატია, რომელმაც წელსაც ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ. ინგლისელი ფორვარდის გვარია ჰენისი და არა ჰენისი, ბრაზილის მწვრთნელისა კი ვინსენტ ფილიპი (და არა ვინცენ ფილიპი).

მიუხედავად ამგვარი შეცდომებისა, „ისევ ფეხბურთზე“ საინტერესო ნარკვევების კრებულია და ვფიქრობთ, კარგად მიიღებს ჩვენი მკითხველი.

ბ. ლავიძე

საინტერესოდა დაწერილი შ. იამანიძის „უცხოეთის სტადიონებზე“, სადაც ავტორი მოკლედ ავსრულებს თბილისის „დინამოს“ ტურნეს ბელგიაში, ლუქსემბურგსა და საფრანგეთში. განსაკუთრებით საინტერესოა აღწერილი თბილისელთა შეხვედრები საფრანგეთის უძლიერეს გუნდებთან — რუ-



ნახროვი გვარები

სოხში. (ტელეფონით ჩვენი კორ.). დამთავრდა რესპუბლიკის პირად-გუნდური ჩემპიონატი ცურვაში. შეჯიბრების მესამე დღეც, ისევე როგორც პირველი ორი, კვლავ თბილისელ სპორტსმენთა უპირატესობით აღინიშნა და ისეც თითქმის ყველა დისტანციანზე ნახროვი გვარებს ეხებებოდა.

300 მეტრზე ბრასის სტილით ქალთა შეჯიბრებაში გამარჯვების ძირითადი კონკურენტები იყვნენ დ. კონონენკო და ზ. ბაბენკო (ორივე თბილისელი). კონონენკომ შედარებით მაშინაა დასრულდა მისი მონაწილეობა, დასრულდა გატურა 3.14,8 წუთში და მოიპოვა ჩემპიონობა, მესამე ადგილზე გამოვიდა აჭარის გუნდის წევრი ს. ხაიბულია — 3.21,6 წუთით. შორის ბრასით 200 მეტრზე ცურვა დამთავრდა თბილისელი მ. ლინიკოვის უპირატესობით — 2.40,0. წინა დღის გამარჯვებას კიდევ ერთი პირველი ადგილი მიუძღვნა თბილისელმა ს. უსუკოვამ, რომელიც ამჯერად უძლიერესი იყო 200 მეტრზე დღეგრძელის სტილით ცურვაში — 2.39,9. მეორე ადგილზე კვლავ გამოვიდა ლ. გორგაძე — 2.49,2, ხოლო აფხაზეთის გუნდის წევრმა ვ. მესხმა მოიპოვა მესამე ადგილი.

სამი გატურა მოეწყო 400 მ თავისუფალი სტილით. გოგონათა შორის გამარჯვდა ლ. ბერძენიშვილმა (თბილისი) — 6.08,1, უბუნეთა შორის — მისმა თანაგუნდელმა ს. კაპციკოვამ — 5.45,6, ხოლო ქალთა შორის უძლიერესი იყო ი. ამინაშვილი (თბილისი) — 5.58,0.

გუნდურ შეჯიბრებაში ადგილები განაწილდა: თბილისი, აფხაზეთი, აჭარა, ფიზკულტურის კოლეჯი, შორის — თბილისის ორთქლ-ბაილ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, სოხუმის ტყაიის ქარხანა და ბათუმის გამთავრებელი ქარხანა.

ბ. კამინსკი, სპორტის ოსტატი.

დეპეშა მოკლედ იტყობინებოდა: „ჩამოდი ვლადივოსტოკში, იოკაპამში დანიშნული ხართ მსაჯად“. ამ პატარა ქალაქში დიდი სიხარული მომიტანა. მე უნდა დავსწრებოდი მსოფლიო პირველობის თავისუფალ და კლასიკურ კიდაობაში, გაცნობოდი კუნძულებზე განლაგებულ შშის ამოსვლის ქვეყანას — იაპონიას, და რაც მთავარია, საშუალება მექნებოდა დავხმარებოდი ქართველ მოჭიდავეებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში გამოდიოდნენ.

სწრაფად ავიყარე გულანაბალი და ვლადივოსტოკში გავფრინდი. იქ ყველაფერი მზად იყო — გუნდები დაკომპლექტებული, მწვრთნელები შერჩეული და მსაჯებიც ჩამოსული.

პორტ ნახოდიდან 26 მაისს გეში „ალექსანდრე მოჯისკი“ შეცურდა ზღვაში. იგი სამი დღე-ღამე მიაპობდა ტალღებს, ატლანტიკის ოკეანე, იაპონიის ზღვა, სონგარის სრუტე და აი, პირველი საბჭოთა გემი შევიდა იოკაპამის ნავსადგურში. გაისმა სამხედრო ორკესტრის ხმა, დაუშვეს ტრაპი და გემბანზე ამოვიდა ქალაქის მერი, რომელმაც, სხვათაშორის, იქ გაიგო, რომ „ალექსანდრე მოჯისკი“ ჩამოიყვანა მოჭიდავეებიც. მერი ფართოდ შლიდა ხელებს ოტაელების გამოსახატავად, იღიმებოდა და თეთრ კბილებს აჩენდა.

როცა ხმელეთზე ფეხი დავდგი, უკვე ბნელიდა, ავტობუსი ელვის სისწრაფით მიჰქროდა წყვილიაღმ, ზღვამ ყველა მოგვქანდა, ამიტომ ლაპარაკის თავი არც ერთს არ გვქონდა.

— მოვედი! — თქვა თარჯიმანმა და მეგზურმა. — ეს არის კაცანავაშიში, იოკაპამის გარეუბანი, თვითონ იოკაპამა ტოკიოს გარეუბანშია. ე. ი. თქვენ ხართ გარეუბნის გარეუბანში, — განავრძობდა მეგზური.

სასტუმრო ერთსართულიანი იყო, მწვანეში ჩაფლული, კარებში მოგვიგებენ ჩეხოსლოვაკი, ავსტრალიელი, ახალზელანდიელი და ინდოელი მოჭიდავეები. მივსალმეო,

დავბინავდი, დავნაყრდი და უკვე დავიწყეთ ლაპარაკი მეორე დღის რეჟიმზე და მომავალ ბრძოლებზე.

შეჯიბრება, როგორც ცნობილია, იოკაპამის კეიოს უნივერსიტეტში ტარდებოდა. სხვათაშორის საინტერესოა, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელში 8.000 ახალგაზრდა სწავლობდა და მის საღმრთო სტრუქტურა დარბაზში ზუსტად 8.000 კაცი იტევდა. პირველად შეჯიბრების ჩატარება იოკაპამის ცენტრში 25.000 ადგილიან დარბაზში უნდა გამართულიყო, მაგრამ ჰერი დაზიანებულია და ქალაქის მმართველობას უარს უთქვამს (ჰერი ალბად მიწის ძვრისაგან დაზიანდა). ვიდრე ამ ამბებს გვეყვებოდა ჩვენი მეგზური, ავტობუსიც მოვიდა და კეიოსკენ დავიძარბეთ. 500 მეტრიც არ გვექონდა გავლილი, რომ ავტობუსის მოტოციკლებზე ამხედრებული პოლიციელები გარს შემოერტყნენ და ასე, მათი თანხლებით მივიკვლევდით გზას იოკაპამის ვიწრო ქუჩებში, როგორც კი გზა ვიკარდინს მიუვსლოვდებოდა, დაწინაურდებოდა პოლიციელი, ჩაქებავდა მიმოსვლას და დაუბრკოლებლად გავგატარებდა. პოლიციელების ესკორტი, რომ არა, ჩვენ დიდხანს მოგვიხდებოდა ხეტიალი.

მაგრამ ერთხელ იმის მოწმეც გავხდით თუ როგორ იფრინეს ჩვენი პოლიციელი. ამ დღეს ტოკიოში პარლამენტი იხილავდა პოლიტიკური თავისუფლების საკითხს. ხალხი აღდგა თავიანთი წარგზავნილების მხარდასაჭერად, დემონსტრაციები მოაწყო. დემონსტრანტთა ერთ ასეთ ნაკადს შეეფეთა ჩვენი პოლიციელი. ამა იგი გაბოროტებული ხალხის ნიღბარს როგორ შეაჩვენებდა — უკლდით ქვა ასროლინეს. ჩვენ ვუყურებდით, როგორი ყვირილით მიემართებოდა მასა ცენტრისაკენ. მოითხოვდა თავისუფლებას, სამუშაოს, მშვიდობას...

მსოფლიო პირველობის გახსნაზე მოსულ მაყურებლებს კეიოს დარბაზი ვერ იტევდა. ცნობილია,

რომ იაპონიაში, ყველა სახის, და განსაკუთრებით ეროვნული (ჯიუდი) კიდაობა პოპულარობით სარგებლობს. ამიტომ მაყურებელთა ასეთი დიდი ინტერესი არცაა გასაკვირი. პირველობა პრინციპში კეიოს სიტყვა წარმოთქვა, ცნობილია მოჭიდავემ სასახარამ ფიცის ტექსტი წაიკითხა და ორი დროშა — იაპონიის ეროვნული და კიდაობის საერთაშორისო ფედერაციის — აფრიალდა ანძაზე.

ახლა თვით შეჯიბრებაზე. გ. გომბევიშვილმა ჯერ კიდევ გემზე, ვარჯიშის დროს მიიღო ფეხს ტრავმა. დაეასიეთ ექიმები, გავუყურეთ ტკივილი. მაგრამ მისგან ჩემპიონობის მოპოვების იმედო უკვე აღარ გვექონდა, მთავარი იყო გუნდის ინტერესები სათვის გამოსულიყო. გომბევიშვილმა რაც შეეძლო გააკეთა. მტკივნეული ფეხით მეთხებ წერს მიიღწია და შეწყვიტა ბრძოლა. ასეთივე ბედ ეწია მ. ლუდშაურს. თურქი ილამაშთან კიდაობისას ნეკნი ჩაუტვია და მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა. ამ ორ მოჭიდავეზე ყურადღება განგებ გვაქონდა, რადგან ზოგს ჰქონია, რომ ისინი მოუშნადებელი წარსდგნენ სარბიელთა და დამარცხდნენ.

პირველობის ტექნიკური შედეგები თავის დროზე დაწვრილებით გამოქვეყნდა პრესაში, ამიტომ მე არ შეეჩერებები. ვიტყვი მხოლოდ ჩვენს ჩემპიონებზე — (გ რუბაშვილსა და ა. ქორიძეზე).

გ. რუბაშვილმა ნამდვილად წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იაპონელებზე. მისი გამოჩენა სარბიელზე საკმარისი იყო, რომ ოვაცია დარბაზს აზანზარებდა. გ. რუბაშვილიც იბრძოდა შეუპოვრად, მრავალდეროვნად. ეს განსაკუთრებით ითქმის ფინალზე, ფეხლებთან შებმის დროს, როცა ყველაფერი შუაჯურმა გადაწყვიტა. მაყურებელი გამაყრუებელი ტაშის გრიალით შეხვდა ჩემპიონს. „შეუპოვარი“, „სასახარაზე უფრო შე-

დგინა“, „ილეთების ფეიერვერკი“, რა ვიცი კიდევ რას არ უწოდებდნენ მას ადგილობრივი გაზეთები. ასეთივე სიყვარული დაიბნახურა ა. ქორიძეზეც. იმან ხომ ყოველგვარი ფინალის გარეშე მოიპოვა ჩემპიონობა.

არანაყლები ზემოთ ჩატარდა ჩემპიონატის დახურვა. ისევ პრინციპი წარმოსთქვა სიტყვა, მხოლოდ ახლა ლოკიდან — ძირს ჩამოსვლა არ იკადრა. მედლები ჩაიბარეს მოჭიდავეებმა, ორკესტრმა გვესყერ შეასრულა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

მეორე დღეს გავემართეთ ექსკურსიაზე, ვნახეთ ტაძარი „ნიკო“ — ხელოვნების ამ ქმნილებაზე იაპონელები ამბობენ: ვისაც „ნიკო“ არ უნახავს, მას იაპონიაზე წარმოადგენა არ აქვს; ვიყავით წმინდა მთაზე, სადაც ქალებს არ უშვებდნენ და მახლობლად მხატვრები, მწერლები და მოქანდაკეები მოსახლეობდნენ.

— ახლა? — ვითხებთ მეგზურს. — ახლა, როგორც ამჩნევთ, ყველაზე ამერიკულია მართლაც, სადაც კი წავედით (მხედველობაში ბაქვის საუკეთესო ადგილები), ამერიკელები სჯარბობდნენ, დაპქროდნენ ვილისებ-თ. ლეჰავდნენ რუბინს. ისინი ქვეყნის ფაქტური ბატონ-პატრონი არიან. თოვლიანი მთის ფუძიდან ჰარში აგებულ სასტუმროშიც კი საუკეთესო ოთახები ამერიკელ მოთავაშეებს ეკავათ. „ალექსანდრე მოჯისკი“ ჩამოგვიყვანა იაპონიაში და ახლა „ჩე-ლიანისსკს“ უნდა გამოვყოლოდით სამშობლოში. კაპიტანი იყო ი. სტარიგინი, თბილისელი, ბათუმის სასწავლო სასწავლებლის კურსდამთავრებული.

მოქალაქეებმა 1961 წელს დიდი ბრძოლა გადითანეს. მაგრამ წინ კიდევ უფრო დიდი ბრძოლება. მთავარი კი ოლიმპიური თამაშებია, რომელიც იაპონიაში ტარდება. ვუსურვოთ ჩვენს ჩემპიონებს ვ. რუბაშვილს, ა. ქორიძეს და სხვებსავე, რომლებსაც აქვთ უკვე „იპონური“ გამოცდილება, კვლავ ასეთივე წარმატებით დაიკვან იქ საბჭოთა სპორტის ღირსება.

ბ. კამინსკი

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

